თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 7

ქ. თერჯოლა 24 ივნისი 2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩხიკვაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ზურაბ ჩხიკვაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. მამული კოვზირიძე, 6. მირზა აფრიდონიძე, 7. ომარი ჯიხვაშვილი, 8. ბადრი ბუცხრიკიძე, 9. მაკა ყიფშიძე, 10. ნატო კვეტენაძე, 11. გიორგი ბერეკაშვილი, 12. სოსო ჩაფიჩაძე, 13. სერგი ჯიხვაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: 1. გოჩა ვერულაშვილი.
კომისიის შემადგენლობა: 14 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 13 წევრი
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282616674, 15.06.2026 წ.).

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი-

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1288.4 ათასი ლარით და შეადგენს 37269.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1348.0 ათასი ლარით (გრანტი).

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 59.6 ათასი ლარით (გრანტი სატენდრო ეკონომია).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 59.6 ათასი ლარით. მ/შორის:

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია შემცირდა -59.6 ათასი ლარით სოფ. ზედა სიმონეთში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით ჭაბურღილის მოწყობის სატენდრო ეკონომია.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1348.0 ათასი ლარით. მ/შორის:

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 688.3 ათასი ლარით (სოფ.ეწერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია- 11.7 ათასი ლარი. სოფელ გოდოგანში წყალწითელა-ქვაშავას უბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 600.0 ათასი ლარი. სოფ. საზანოში ჩიხორი შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 33.4 ათასი ლარი. სოფ. რუფოთში ჭანკვეტაძეების უბანში არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 43.2 ათასი ლარი).

საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება გაიზარდა 659.7 ათასი ლარით (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები).

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13 , წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ჩხივაძე